სტრასბურგი, 11 დეკემბერი, 2008

CEPEJ(2008)11

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია
(CEPEJ)

სახელმძღვანელო მითითებები
სასამართლოს სტატისტიკის შესახებ
(GOJUST)

მიღებულია მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის მიერ მე-12
პლენარულ შეხვედრაზე
(სტრასბურგი, 10-11 დეკემბერი, 2008)

წინასიტყვაობა

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულ კომისიას („ევროპული კომისია“), წესდების მე-2 მუხლის[1] შესაბამისად, ევალება, „შეამოწმოს სხვადასხვა სისტემის მიერ (...) მიღწეული შედეგები (...) შეფასების საერთო სტატისტიკური კრიტერიუმებისა და საშუალებების გამოყენებით. მე-3 მუხლის თანახმად, ევროპულმა კომისიამ თავისზე დაკისრებული ამოცანები უნდა შეასრულოს „(...) შეფასების ზომებისა და საშუალებების განსაზღვრისა და (...) საუკეთესო პრაქტიკის კვლევის, სახელმძღვანელო პრინციპების, სამოქმედო გეგმების, მოსაზრებებისა და ზოგადი კომენტარების შემუშავების მეშვეობით“.

2005 წლის მაისში ვარშავაში გამართულ სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა მე-3 სამიტზე მიღებული სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს „[ევროპული კომისიის] შეფასების ფუნქციების (...) შემუშავების გადაწყვეტილებას.“

ევროპული კომისიის ანგარიში „ევროპული სასამართლო სისტემები - 2008 წლის გამოცემა“ (გამოქვეყნებული 2008 წლის ოქტომბერში) დადებითად იქნა შეფასებული საჯარო გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და სასამართლო საზოგადოების მიერ ევროპაში.

ევროპული კომისიის თქმით, მნიშვნელოვანია სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება იმ ორგანოებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას მართლმსაჯულების სფეროში. სახელმძღვანელო მითითებები ეფუძნება სასამართლო სისტემების საპილოტე შეფასებისა (2002-2004) და პირველი ორი რეგულარული შეფასების ციკლის (2004-2006 და 2006-2008) შედეგად შეძენილ გამოცდილებას. კერძოდ, ისინი ითვალისწინებს ქვეყნების წარმომადგენელთა მიმოხილვებსა და წინადადებებს, ისევე როგორც ევროპული კომისიის მიერ გაკეთებულ კომენტარებს.

აღნიშნული პრინციპები უნდა აღიქმებოდეს და გამოიყენებოდეს როგორც იმ ინსტრუმენტების კორპუსის ნაწილი, რომლებიც შეიმუშავა ევროპულმა კომისიამ მართლმსაჯულების ეფექტიანობისა და ხარისხის გაზრდის მიზნით, სახელდობრ: დროის მართვის საკონტროლო ჩამონათვალი,[2] მართლმსაჯულების და სასამართლოების ხარისხის ხელშეწყობის საკონტროლო ჩამონათვალი[3] და SATURN-ის სასამართლოს დროის მართვის სახელმძღვანელო მითითებები,[4] ასევე საექსპერტო შეფასების პროცესი და სასამართლო სტატისტიკა, რომელიც ხორციელდება 2008 წლიდან.

სახელმძღვანელო მითითებების მიზანია:

- განამტკიცოს წევრ სახელმწიფოებში შეგროვებული და დამუშავებული სასამართლო სტატისტიკის, როგორც საჯარო პოლიტიკის ინსტრუმენტის, ხარისხი, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და ხელმისაწვდომობა;
- ხელი შეუწყოს ევროპული ქვეყნების მონაცემთა შედარებას ძირითადი სასამართლო სისტემის შეფასების მაჩვენებლების სათანადო თავსებადობის უზრუნველყოფით,

---

[1] მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია #(2002)12

[2] CEPEJ(2005)12 გადასინჯული ვერსია

[3] CEPEJ(2008)2

[4] CEPEJ(2008)8

ქვეყნებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების (სასამართლო ორგანიზაციის, ეკონომიკური მდგომარეობის, დემოგრაფიის და ა.შ. კუთხით) მიუხედავად, სასამართლო სისტემების ფუნქციონირების აღქმის, სასამართლო სისტემის საქმიანობის გაზომვისა და შეფასების საერთო ინდიკატორების გამოვლენის, ძირითადი ტენდენციების გამოკვეთის, სირთულეების გამოვლენისა და მართლმსაჯულების საჯარო პოლიტიკის მიმართულებით ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის მიზნით მისი ეფექტიანობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად ევროპის მოქალაქეთა საკეთილდღეოდ;

- წვლილი შეიტანოს ევროპის სასამართლო სისტემების შეფასების მიზნით ევროპული კომისიის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პროცესის უზრუნველყოფასა და აღნიშნული პროცესის გაუმჯობესებაში.

სახელმძღვანელო მითითებები

I. ზოგადი პრინციპები

1. სასამართლო სტატისტიკის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს სასამართლო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას და წვლილი შეიტანოს მართლმსაჯულების სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერებაში. შესაბამისად, სასამართლო სტატისტიკა პოლიტიკოსებსა და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს საშუალებას უნდა აძლევდეს, მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია სასამართლოს ფუნქციონირებასა და სასამართლო სისტემის ხარისხზე, კერძოდ, სასამართლოებისა და მოსამართლეების სამუშაო მოცულობასა და მის შესასრულებლად საჭირო დროზე, სასამართლოს საქმიანობის ხარისხსა და სამუშაოს შესასრულებლად სისტემისათვის გამოყოფილი ადამიანური და ფინანსური რესურსების მოცულობაზე.

2. სასამართლო სისტემის ფუნქციონირებასა და ხარისხთან დაკავშირებული ყველა მონაცემი უნდა შეგროვდეს და წარმოდგენილი იყოს თავსებადი და თანმიმდევრული მეთოდოლოგიით, რომელიც გამოიყენება სასამართლო ხელისუფლების ყველა წარმომადგენლობისა და ორგანოს მიმართ, რათა შესაძლებელი გახდეს მათთვის გამოყოფილი რესურსების ეფექტიანობის შეფასება.

3. თითოეულ წევრ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს კონკრეტული სტატისტიკური ინსტიტუციური მექანიზმი (მექანიზმები) სხვადასხვა სტატისტიკური პროვაიდერისაგან ინფორმაციის შეგროვების, კოორდინაციის, თავმოყრისა და დამუშავების მიზნით, რაც აუცილებელია სასამართლოების, პროკურატურის, სასამართლო სისტემის ფარგლებში ადმინისტრაციული სამსახურებისა და სასამართლოს როლის შემსრულებელი სხვა ორგანოების ფუნქციონირების შეფასებისა და მათი საქმიანობის გაზომვისათვის.

პროცედურები და მექანიზმები

4. პროცედურები და ვადები უნდა შეთანხმდეს დაინტერესებულ მხარეებთან, რათა ჩამოყალიბდეს სისტემა სტატისტიკური ინფორმაციის რეგულარული შეგროვებისა და გავრცელების მიზნით. წინასწარ მკაფიოდ უნდა განისაზღვროს პასუხისმგებლობები და მექანიზმ(ებ)ი ზოგად საკითხებზე რეაგირებისათვის, სისტემის შენარჩუნების მართვასა და სისტემის ფუნქციონირებასთან, ისევე როგორც შეგროვებული მონაცემების სანდოობასა და ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული კონფლიქტების მოგვარებისათვის.

5. რამდენადაც შესაძლებელია, წარსულში შეგროვებული სტატისტიკური მონაცემები გამოყენებული უნდა იქნეს სამომავლო სისტემებში დროითი მწკრივის შემუშავების მიზნით.

6. როდესაც ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო ანაწილებს სასამართლო ორგანოებს შორის რესურსებს სტატისტიკური კრიტერიუმების გამოყენებით, უნდა შეიქმნას მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის წესების სათანადო გამოყენების თაობაზე მონიტორინგის მექანიზმი სამართლიანი და გამჭვირვალე სისტემის უზრუნველსაყოფად.

7. სტატისტიკის მოთხოვნა არ უნდა წარმოადგენდეს ზედმეტ ტვირთს სასამართლოს აპარატისათვის, პირიქით, უნდა შეესაბამებოდეს სასამართლოს მთელი სისტემის თანმიმდევრული მართვის მოთხოვნებს.

8. სტატისტიკურ სისტემაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოიყენების განვითარება უნდა იძლეოდეს სასამართლო სისტემის შესახებ მონაცემების წარდგენისა და დამუშავებისათვის საჭირო დროის შემცირების საშუალებას.

მონაცემთა გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

9. მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირთა პროფესიონალიზმი, ეთიკურობა და მათი დამოუკიდებლობა სხვა პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული ორგანოებისაგან, ან კერძო ორგანოებისაგან, უზრუნველყოფს მონაცემების ანგარიშვალდებულებას. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამ პირებს ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები, ისევე როგორც მათი დამოუკიდებლობის დაცვა სათანადო დონეზე, რათა შესაძლებელი იყოს ანგარიშვალდებული და მაღალი ხარისხის სამეცნიერო სამუშაოს შესრულება.

10. მონაცემების შეგროვება და ანალიზი უნდა განხორციელდეს გამჭვირვალედ. ძირითადი შედეგები გადაეცეს არა მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მონაწილე ყველა დაინტერესებულ მხარეს, არამედ ყველა იმ პირს, რომლებიც მონაწილეობენ სასამართლო სისტემის ფუნქციონირებაში. აღნიშნული მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით შესაძლოა გათვალისწინებული იქნეს მკვლევართა მოსაზრებები.

11. არ უნდა მოხდეს მონაცემებისა და მათი ანალიზის პერსონიფიცირება. ისინი უნდა იყოს ადვილად აღქმადი, ხელს უწყობდეს მთელი სისტემის გამჭვირვალობასა და მიმღებლობას ყველა დაინტერესებული პირისათვის და უზრუნველყოფდეს წარმოდგენილი ინფორმაციის სამართლიანობას. შეძლებისადაგვარად, თავიდან იქნეს აცილებული კომპლექსური ფორმულა.

12. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ეროვნულ დონეზე შეგროვილ მონაცემების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა, კერძოდ, ინტერნეტში გამოქვეყნებით.

13. წევრ სახელმწიფოებში სასამართლო სტატისტიკის შეგროვებასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა შესაბამისი ნაბიჯები უნდა გადადგან, რათა უზრუნველყონ დიალოგი იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც წარმოადგენენ იურიდიულ პროფესიებსა და სასამართლოებს, მკვლევრებთან, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ორგანიზაციებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან აღნიშნული საკითხით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ფართო კონსენსუსი ინფორმაციის შეგროვებასა და გავრცელებასთან დაკავშირებით.

ევროპული სასამართლო სისტემების შეფასება

14. მონაცემთა შეგროვების ორგანიზება, შეძლებისდაგვარად, უნდა ითვალისწინებდეს ევროპული კომისიის შეფასების სქემას, რათა მუდმივად შესაძლებელი იყოს დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემა, რაც ევროპული სასამართლო სისტემების შეფასების პროცესის ნაწილს წარმოადგენს. ყურადღება უნდა დაეთმოს განმარტებითი ბარათის

სახელმძღვანელო მითითებებს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს განხილული კონცეფციებისა და გაზომვის გამოყენებული მეთოდების ერთგვაროვნება.

15. კერძოდ, თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა გაატაროს საჭირო ღონისძიებები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს, უზრუნველყოს ყოველწლიური მონაცემების შეყვანა ევროპის ძირითადი მონაცემების კორპუსში, როგორც ამას განსაზღვრავს ევროპული კომისია (იხ. დანართი II).

II. სპეციალური პრინციპები

სასამართლოს ბიუჯეტი

16. სასამართლო სისტემის განვითარების მიზნით სახელმწიფოს ძალისხმევის შესაფასებლად სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ორგანიზებული უნდა იმგვარად, რომ ცალკე გამოიყოს ბიუჯეტი შემდეგი კატეგორიებისათვის:
    - ხელფასები,
    - იურიდიული დახმარება,
    - კომპიუტერიზაცია (აღჭურვილობა, ინვესტიცია და ტექნიკური უზრუნველყოფა),
    - სასამართლოს ხარჯები,
    - ინვესტიცია ახალ შენობებში,
    - შენობის შენახვა, ექსპლუატაცია და ხარჯები,
    - მოსამართლეებისა და პროკურორების მომზადება და განათლება.

17. სასამართლო მონაცემები უნდა შეგროვდეს და დამუშავდეს, შეძლებისდაგვარად, ისეთი მეთოდით, რომელიც იძლევა სასამართლოსა და პროკურატურის ფუნქციონირებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტების განსხვავების საშუალებას. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო სისტემა იმგვარად არის ორგანიზებული, რომ შეუძლებელია ასეთი დიფერენცირება, მონაცემები მოსამართლეთა და პროკურორების რაოდენობის შესახებ შესაძლოა იძლეოდეს სტატისტიკური შედეგების შეწონის საშუალებას ან უნდა შეიქმნას სისტემა, რომელიც პროკურატურის სისტემისათვის განკუთვნილი ბიუჯეტის დაანგარიშების საშუალებას იძლევა.

18. სტატისტიკური ინფორმაცია უნდა მოიცავდეს როგორც დამტკიცებულ, ისე შესრულებულ ბიუჯეტს.

ადამიანური რესურსები

19. სასამართლო პერსონალის (მოსამართლეები, პროკურორები, სასამართლოს ადმინისტრაციული პერსონალი და ა.შ.) რაოდენობას, შეძლებისდაგვარად, უნდა ჰქონდეს სრული განაკვეთის ეკვივალენტობა.

სასამართლოს საქმიანობა, პროცედურული ვადები და შეფასება

20. სტატისტიკურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს როგორც ეროვნულ, ისე სასამართლოს დონეზე სამართალწარმოების მთლიანი ხანგრძლივობის შეფასება საქმეების სათანადოდ შემუშავებული ტიპოლოგიის მიხედვით.

21. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილი საქმეების უმეტესობა ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ „გონივრულ ვადაში“ საქმის განხილვის უფლების დარღვევას. იმის გამო, რომ ძნელია ეფექტიანი გადაწყვეტილებების შეთავაზება ოპტიმალური და განჭვრეტადი ვადების თაობაზე სიტუაციის დეტალური ცოდნის გარეშე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინფორმაციის შეგროვებას სამართალწარმოების ხანგრძლივობის თაობაზე.

22. კერძოდ, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეძლონ ინფორმაციის მიწოდება სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, სულ მცირე, შემდეგი ოთხი კატეგორიის საქმეზე: განქორწინება, როდესაც მეუღლეებს შორის არსებობს დავა, სამსახურიდან გათავისუფლება, ძარცვა, განზრახ მკვლელობა (როგორც ეს განსაზღვრულია დანართში I).

23. ევროპის საბჭოს მასშტაბით ერთიანი გადაწყვეტილებების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით სტანდარტული მეთოდოლოგია უნდა იქნეს მიღებული წევრი სახელმწიფოების დონეზე სასამართლოს საქმის წარმოების ვადების გამოსათვლელად. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეძლონ, სულ მცირე, სამი კოეფიციენტის გამოთვლა: საქმეების განხილვის მაჩვენებელი, განხილვის დრო და ეფექტიანობის მაჩვენებელი, როგორც ეს განსაზღვრულია I დანართში.[5]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევების მონიტორინგი

24. წევრი სახელმწიფოების დეტალური განახლებული სტატისტიკა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მათ წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით შეტანილ საქმეებზე წარმოადგენს ძირითად ინსტრუმენტს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების შეფასებისა და მართვისათვის, კერძოდ, იმ მიზნით, რომ გამოასწოროს კონვენციის დარღვევის სიტუაცია. წევრ სახელმწიფოთა შესაბამის ორგანოებს მოუწოდებენ, აწარმოონ სტატისტიკა ცხრილების ფორმით ეროვნულ საქმეებზე ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით ისე, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები სათანადოდ აღსრულდეს და შემდგომში თავიდან იქნეს აცილებული დარღვევები.

25. კერძოდ, ცხრილებში აღნიშნული უნდა იყოს წელიწადში იმ საქმეების რაოდენობა, რომლებზეც
   - სასამართლომ აცნობა
   - სასამართლომ დაუშვებლად ცნო
   - მიღწეული იქნა შეთანხმება
   - დადგინდა დარღვევა
   - არ დადგინდა დარღვევა

   და, რომლებიც ეხება, სულ მცირე,
   - გონივრული დროის მოთხოვნის დარღვევას

[5] ეს დანართი იმეორებს SATURN-ის სასამართლოს დროის მართვის სახელმძღვანელო მითითებებს; EUGMONT (CEPEJ(2008)8).

- სასამართლოს გადაწყვეტილებების აღუსრულებლობას.

26. რამდენადაც შესაძლებელია, ცხრილები შეიძლება ასეთივე სახით ითვალისწინებდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ სხვა უფლებებს.

დანართი I

სასამართლო განხილვის ვადების მონიტორინგის ერთიანი ევროპული წესები (EUGMONT)

1. ზოგადი მონაცემები სასამართლოებისა და სამართალწარმოების შესახებ

მონიტორინგის სისტემა უნდა მოიცავდეს ხელმისაწვდომ და საჯარო ინფორმაციას სასამართლო სისტემის ზოგადი მოწყობის შესახებ, ამავდროულად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდეს ინფორმაციას, რომელიც ეხება სამართალწარმოების ვადების მართვას. ზოგადი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ზუსტ ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე:

- სასამართლოთა რაოდენობა და ტიპები და მათი იურისდიქცია;
- სასამართლოებში წარმოებაში არსებული საქმეების რაოდენობა და ტიპები;
- საქმეები, რომლებიც ითვლება პრიორიტეტულად;

სასამართლო სისტემის მონაცემების განახლება რეგულარულად უნდა ხდებოდეს და ხელმისაწვდომი იყოს, სულ მცირე, ყოველწლიურად (კალენდარული წლის დაწყებისას/დასრულებისას). სასამართლოებში წარმოებაში არსებული საქმეების რაოდენობასთან დაკავშირებით ხელმისაწვდომი უნდა იყო შემდეგი მონაცემები:

- წარმოებაში არსებული საქმეების რაოდენობა მონიტორინგის პერიოდის (მაგალითად, კალენდარული წლის) დასაწყისში;
- ახალი საქმეები (მონიტორინგის პერიოდში, ე.ი., კალენდარული წლის განმავლობაში, ინიცირებული სამართალწარმოება);
- დასრულებული საქმეები (საქმეები, რომლებიც დასრულდა მონიტორინგის პერიოდის განმავლობაში და გამოტანილი იქნა არსებითი გადაწყვეტილება, შეწყდა საქმის წარმოება ან მიღწეული იქნა შეთანხმება და ა.შ.);
- წარმოებაში არსებული საქმეების რაოდენობა მონიტორინგის პერიოდის დასრულებისას.

მონაცემები დასრულებულ სამართალწარმოებაზე შეიძლება დაიყოს იმის მიხედვით, თუ როგორ დასრულდა სამართალწარმოება. სულ მცირე, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ის საქმეები, რომლებზეც გამოტანილი იქნა არსებითი გადაწყვეტილება და, რომლებიც სხვაგვარად დასრულდა (შეწყდა საქმის წარმოება, მხარეები მორიგდნენ, მოსარჩელემ უარი ითქვა სარჩელზე ფორმალური საფუძვლების გამო).

მაგალითი I.

ალპინას სახელმწიფოს სასამართლოები

	სასამართლო ან უფლებამოსილი ორგანო	წარმოებაში არსებული საქმეები 1.1.2008-ის მდგომარეობით	2008 წელს ინიცირებული ახალი საქმეები	2008 წელს დასრულებული საქმეები	წარმოებაში არსებული საქმეები 31.12.2008-ის მდგომარეობით
1	სასამართლო (ები) A				
2	სასამართლო (ები) B				
3	სასამართლო (ები) C				
	სულ				

შენიშვნა: „წარმოებაში არსებული საქმეები 31.12.2008-ის მდგომარეობით“ = „წარმოებაში არსებული საქმეები 1.1.2008-ის მდგომარეობით“ + „2008 წელს ინიცირებული ახალი საქმეები“+ „2008 წელს დასრულებული საქმეები.“

2. ინფორმაცია საქმეთა კატეგორიების მიხედვით

სასამართლოში წარმოებაში არსებული საქმეების თაობაზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც მთლიანი, განზოგადებული ინფორმაციის სახით, ისე საქმეების კატეგორიების მიხედვით. ამ მიზნით საქმეები უნდა დაიყოს ზოგად და უნივერსალურ კატეგორიებად, როგორიცაა: სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული საქმეები.

ზოგადი კატეგორიების ფარგლებში უნდა გაიმიჯნოს უფრო დეტალური კატეგორიები ან ჯგუფები (მაგ., შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები; მკვლელობის საქმე) და ისეთივე სახის ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი შესაბამისი ქვეკატეგორიებისათვის (მაგ. სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული შრომითი დავები).

ამ ეტაპზე თითოეულ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს საქმეთა თავისი კატეგორიზაცია. თუმცა, შემდეგი ოთხი კატეგორია სავალდებულოა თითოეული სასამართლოსათვის: განქორწინების დავები, სამსახურიდან გათავისუფლება, ძარცვა და განზრახ მკვლელობა.

- *განქორწინების საქმეები, როდესაც მეუღლეებს შორის არსებობს დავა*, ანუ ორ პირს შორის ქორწინების კონტრაქტის გაუქმება უფლებამოსილი სასამართლოს გადაწყვეტილებით. მონაცემები არ უნდა მოიცავდეს განქორწინებას, როდესაც მეუღლეთა დაშორება და ყველა მისი შედეგი (ურთიერთშეთანხმების პროცედურა, თუნდაც განიხილავდეს სასამართლო) რეგულირდება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ან ადმინისტრაციული წარმოების წესით. თუ თქვენს ქვეყანაში განქორწინება მთლიანად

არასასამართლო წესით განიხილება ან შეუძლებელია მონაცემების განცალკევება შეჯიბრებითი განქორწინებისაგან, გთხოვთ, მიუთითოთ ამის თაობაზე და წარმოადგინოთ შესაბამისი განმარტება. გარდა ამისა, თუ თქვენს ქვეყანაში განქორწინებასთან დაკავშირებით არსებობს სავალდებულო შუამდგომლობის პროცედურები და მოქმედებს მოფიქრების დრო ან, თუ შერიგების ეტაპი გამოირიცხება სამართალწარმოებისაგან, გთხოვთ, მიუთითოთ და წარმოადგინოთ შესაბამისი განმარტება.

- *სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული საქმეები:* დამსაქმებლის ინიციატივით (კერძო სექტორში მუშაობის შემთხვევაში) შრომითი ურთიერთობის (კონტრაქტის) შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები. აღნიშნული კატეგორია არ ითვალისწინებს საჯარო მოხელეების გათავისუფლებას, მაგალითად, დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად.

- *ძარცვა* ეხება სხვა პირისაგან მოპარვას ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენებით. თუ შესაძლებელია, ეს მაჩვენებლები უნდა ითვალისწინებდეს ყაჩაღობას (ჩანთის გატაცებას, შეიარაღებულ ქურდობას და ა.შ.) და გამორიცხავდეს ჯიბის ქურდობას, გამოძალვასა და შანტაჟს (დანაშაულისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ევროპული კოდექსის განსაზღვრების შესაბამისად). მონაცემები არ უნდა შეიცავდეს დანაშაულის მცდელობებს.

- *განზრახ მკვლელობა* განისაზღვრება, როგორც პირისათვის სიცოცხლის განზრახ მოსპობა. თუ ეს შესაძლებელია, მონაცემები უნდა ითვალისწინებდეს: თავდასხმას, რამაც გამოიწვია სიკვდილი, ევთანაზიას, ახალშობილის მკვლელობას და გამორიცხავდეს თვითმკვლელობაში დახმარებას (დანაშაულისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ევროპული კოდექსის განსაზღვრების შესაბამისად). მონაცემები არ უნდა შეიცავდეს დანაშაულის მცდელობებს.

სხვა ევროპულ სისტემებთან შემდგომი შედარების მიზნით სხვა კატეგორიის საქმეთა ზუსტი განსაზღვრება და მოცულობა, რომელსაც იყენებს სასამართლო (განსაკუთრებით იმ კატეგორიის დანაშაულთან მიმართებით, რომელიც არ არის გავრცელებული) უნდა იყოს წარმოდგენილი დანართის სახით.

მაგალითი II.
დანუბიას საქალაქო სასამართლო

	საქმეთა კატეგორიები	წარმოებაში არსებული საქმეები 1.1.2008-ის მდგომარეობით	2008 წელს ინიცირებული ახალი საქმეები	2008 წელს დასრულებული საქმეები	წარმოებაში არსებული საქმეები 31.12.2008-ის მდგომარეობით
1	**სამოქალაქო საქმეები**				
1ა	განქორწინების დავები				
1ბ	სამსახურიდან				

	გათავისუფლება				
…	…				
2	**ადმინისტრაციული**				
2ა	…				
…					
3	**სისხლის სამართლის საქმეები**				
3ა	განზრახ მკვლელობა				
3ბ	ძარცვა				
…	…				
	სულ				

3. ინფორმაცია სამართალწარმოების ვადებთან დაკავშირებით

3ა. ინფორმაცია სასამართლოში სამართალწარმოების ვადების შესახებ პერიოდების ხანგრძლივობისა და საშუალო/მაქსიმალური ვადების მიხედვით

თითოეულმა სასამართლომ უნდა შეაგროვოს მონაცემები სასამართლოს წინაშე სამართალწარმოების ვადებთან დაკავშირებით. ცალკე მონიტორინგი უნდა განხორციელდეს მიმდინარე და დასრულებულ საქმეებთან მიმართებით პერიოდის (მაგალითად, კალენდარული წლის) განმავლობაში, ხოლო მონაცემები მათი ხანგრძლივობის შესახებ დაიყოს ჯგუფებად პერიოდების ხანგრძლივობის შესაბამისად, მაგალითად, საქმეები, რომლებიც დასრულდა ერთ თვეზე ნაკლები დროის, 1-3 თვის, 4-5 თვის, 7-12 თვის, 1-2 წლის, 2-3 წლის, 3-5 წლის და 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. სამართალწარმოების პერიოდებად დაყოფის გარდა, გამოითვალოს სამართალწარმოების საშუალო ხანგრძლივობა და მიეთითოს მინიმალური და მაქსიმალური ვადები. დამუშავების დრო უნდა ითვალისწინებდეს მხოლოდ იმ დროს, რომელიც აუცილებელია საქმის კონკრეტული სასამართლოს წინაშე განხილვისათვის, მაგ., დრო საქმის სასამართლოს წინაშე შეტანის მომენტიდან საქმის დასრულების მომენტამდე (მაგალითად, საბოლოო გადაწყვეტილება, საქმის ზედა ინსტანციისათვის გადაცემა გასაჩივრების მიზნით და ა.შ.). თუ შესაძლებელია, ინფორმაცია დასრულებული საქმეების წარმოების ვადებზე უნდა გაიმიჯნოს იმ საქმეებისაგან, რომლებიც დასრულდა საქმის სრულად განხილვის შემდეგ (დასრულდა არსებითი გადაწყვეტილების მიღებით) და, რომლებიც დასრულდა სხვაგვარად (საქმის შეწყვეტა, მორიგება, იურისდიქციის არქონა და ა.შ.).

მაგალითი III:

დანუბიას საქალაქო სასამართლო

	2008 წელს დასრულებული საქმეების რაოდენობა (31.12.2008 მდგომარეობით)											
		დასრულებული საქმეების	**წარმოებაში არსებული საქმეების**	**< 1 თვე**	**1-3 თვე**	**4-6 თვე**	**7-12 თვე**	**1-2 წ.**	**2-3 წ.**	**3-5 წ.**	**5 წ >**	**განხილვის დრო (დღეები)**

		რაოდენობა	**რაოდენობა პერიოდის ბოლოს**									
1	**სამოქალაქო საქმეები**											
1ა	განქორწინების დავები											
1ბ	სამსახურიდან გათავისუფლება											
…	…											
2	**ადმინისტრაციული**											
2ა	…											
…												
3	**სისხლის სამართლის საქმეები**											
3ა	განზრახ მკვლელობა											
3ბ	ძარცვა											
…	…											
	სულ											

3ბ. ინფორმაცია მთლიანი სამართალწარმოების ხანგრძლივობის თაობაზე

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოში წარმოებაში არსებული საქმეები ასევე შეიძლება განსხვავებული იქნეს ერთმანეთისაგან მთლიანი ხანგრძლივობის მიხედვით. მთლიანი ხანგრძლივობა არის დრო სამართალწარმოების ინიცირებიდან საქმის საბოლოო განხილვამდე (იხ. ევროპული კომისიის დროის მართვის საკონტროლო ჩამონათვალი და SATURN-ის სახელმძღვანელო მითითებები). თუ ეს შესაძლებელია, გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის საჭირო დრო ასევე უნდა მიეთითოს ინფორმაციაში სამართალწარმოების მთლიანი ხანგრძლივობის თაობაზე.

4. სამართალწარმოების შუალედური ეტაპების მონიტორინგი და მოლოდინის პერიოდი

სამართალწარმოების ვადების მონიტორინგი არ უნდა შემოიფარგლებოდეს მონაცემების შეგროვებით მთლიანი ვადების თაობაზე სამართალწარმოების დაწყებიდან მის დამთავრებამდე. ასევე უნდა შეგროვდეს ინფორმაცია სამართალწარმოების შუალედური ეტაპების ხანგრძლივობაზე. სულ მცირე, ეტაპები, რომლებსაც ეხება მონიტორინგი, უნდა შეიცავდეს მოსამზადებელი ეტაპის ხანგრძლივობას (მაგ., დროს სამართალწარმოების დაწყებიდან პირველ არსებითად მოსმენამდე), ძირითად ეტაპს (მაგ., საქმეზე პირველი მოსმენიდან ბოლო არსებით მოსმენამდე) და სასამართლო განხილვის დასკვნით ეტაპს (მაგ., ბოლო არსებითი მოსმენიდან საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე). ამავდროულად, ხელმისაწვდომი უნდა იყოს მონაცემები სააპელაციო სამართალწარმოების ან სხვა სამართლებრივი საშუალებების ხანგრძლივობის თაობაზე. გათვალისწინებული უნდა იყოს სპეციალური მონიტორინგი არააქტიური (მოლოდინის) პერიოდებისათვის.

აღნიშნული სტატისტიკა უნდა აწარმოოს შესაბამისმა ორგანომ ეროვნულ დონეზე (იუსტიციის სამინისტრომ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და სხვ.).

მაგალითი IV:

დანუბიას საქალაქო სასამართლო

	საქმეთა კატეგორიები	*სამართალწარმოების შუალედური ეტაპების საშუალო ხანგრძლივობა (31.12.2008 მდგომარეობით)*					
		სასამართლო განხილვის ეტაპი			***სამართლებრივი დაცვის საშუალებები***		
		განხილვისათვის მომზადება	**მოსმენა**	**განაჩენი**	**გასაჩივრება**	**სპეციალური მიმართვა**	**სხვა**
1	**სამოქალაქო საქმეები**						
1ა	განქორწინების დავები						
1ბ	სამსახურიდან გათავისუფლება						
…	…						
2	**ადმინისტრაციული**						
2ა	…						
…							
3	**სისხლის სამართლის საქმეები**						
3ა	განზრახ მკვლელობა						
3ბ	ძარცვა						
…	…						
	სულ						

5. ანალიტიკური ინფორმაცია და მაჩვენებლები

სასამართლოების, საქმეების რაოდენობისა და სამართალწარმოების ხანგრძლივობის შესახებ ზოგადი მონაცემების, ასევე სასამართლოებისა და სასამართლო სისტემის შესახებ სხვა შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია შემდგომი ინსტრუმენტების გამოყენება სასამართლოთა ფუნქციონირების მაჩვენებლებისა და კრიტერიუმების სახით.

Inter alia, შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი მაჩვენებლები სამართალწარმოების ხანგრძლივობისა და სხვა ფაქტორების ანალიზისა და მონიტორინგისათვის სასამართლოში ვადების გასააზრებლად:

1. **განხილვის მაჩვენებელი (Clearance rate):** კავშირი ახალ საქმეებსა და დასრულებულ საქმეებს შორის პერიოდის განმავლობაში (პროცენტული მაჩვენებელი).

$$\text{Clearance Rate}\,(\%) = \frac{\text{resolved cases}}{\text{incoming cases}} \text{x}\,100$$

მაგალითად: თუ კალენდარული წლის განმავლობაში სასამართლოში ინიცირებული იქნა 500 ახალი საქმე და, ამავე დროს, სასამართლომ დაასრულა 550 საქმის განხილვა, განხილვის მაჩვენებელი 110%-ია. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაასრულებს 400 საქმის განხილვას, განხილვის მაჩვენებელი იქნება 80%. განხილვის მაჩვენებელი 100%-ზე ზევით მიუთითებს წარმოებაში არსებული საქმეების რაოდენობის შემცირებაზე.

2. **საქმის ბრუნვის კოეფიციენტი (Case turnover ratio):** კავშირი დასრულებულ და დაუსრულებულ საქმეთა რაოდენობებს შორის. ეს მოითხოვს რაოდენობების დათვლას წლის (ან დაკვირვების სხვა პერიოდის) განმავლობაში, რომ სტანდარტიზებული კატეგორიის საქმეები დაწინაურდა ან დასრულდა.

$$\text{Case Turnover Ratio} = \frac{\text{Number of Resolved Cases}}{\text{Number of Unresolved Cases at the End}}$$

3. **განხილვის დრო (Disposition time indicator):** დაკვირვების პერიოდის განმავლობაში დასრულებული საქმეების რაოდენობის შედარება დაუსრულებელი საქმეების რაოდენობასთან დაკვირვების პერიოდის დასასრულს. 365 იყოფა დასრულებული საქმეების რაოდენობაზე, რომელიც იყოფა დაუსრულებული საქმეების რაოდენობაზე პერიოდის დასრულებისათვის, ისე რომ შესაძლებელი იყოს მისი გამოხატვა დღეების რაოდენობის მიხედვით. კოეფიციენტი ზომავს, თუ რამდენად სწრაფად უმკლავდება სასამართლო სისტემა შემოსულ საქმეებს, ანუ რამდენი დრო სჭირდება საქმის დასრულებას. ეს მაჩვენებელი უზრუნველყოფს შემდგომ ხედვას, თუ როგორ უნდა არეგულირებს სასამართლო სისტემა საქმეთა ნაკადს.

$$DispositionTime = \frac{365}{CaseTurnoverRatio}$$

სხვა ინდიკატორები (ინფორმაციისათვის)

4. **ეფექტიანობის განაკვეთის მაჩვენებელი (Efficiency rate indicator):** კავშირი წლის განმავლობაში სასამართლოში გამოყენებული პერსონალის რაოდენობასა და წლის დასასრულისათვის ამავე სასამართლოს შედეგებს შორის.
5. **დაგროვებული საქმეების მთლიანი მაჩვენებელი (Total backlog indicator):** პერიოდის ბოლოს დაუსრულებელი საქმეები, რაც განისაზღვრება როგორც სხვაობა პერიოდის დასაწყისში წარმოებაში არსებული საქმეების საერთო რაოდენობასა და იმავე პერიოდში დასრულებულ საქმეებს შორის. ***მაგალითად:*** თუ კალენდარული წლის დასაწყისში იყო 1000 განსახილველი საქმე, ხოლო სასამართლომ კალენდარული წლის განმავლობაში შეწყვიტა 750 საქმე, კალენდარული წლის ბოლოს იქნება 250 საქმე, რაც ითვლება მთლიან დავალიანებად.
6. **დაგროვებული საქმეების განხილვის მაჩვენებელი (Backlog resolution indicator):** დაგროვებული საქმეების განხილვისათვის საჭირო დრო თვეების ან დღეების მიხედვით, რაც გამოითვლება საქმეების რაოდენობისა და განხილვის მაჩვენებლის მიხედვით. ***მაგალითად:*** თუ პერიოდის დასასრულს დაგროვებულად ითვლება 100 საქმე, ხოლო სასამართლომ დაასრულა 200 საქმე

ამავე პერიოდში, დაგროვებული საქმეების განხილვის მაჩვენებელი მაჩვენებელი იქნება 6 თვე ან 180 დღე.

7. **თითოეულ მოსამართლეზე საქმეთა რაოდენობის მაჩვენებელი** (**Case per judge indicator**): კონკრეტული კატეგორიის საქმეების რაოდენობა თითოეულ მოსამართლეზე მოცემულ პერიოდში. ***მაგალითად:*** თუ კალენდარული წლის ბოლოს სასამართლოში წარმოებაშია 600 საქმე და 4 მოსამართლე განიხილავს მათ, აღნიშნული მაჩვენებელი იქნება 150.
8. **სტანდარტული გადახრის მაჩვენებელი (Standard departure indicator):** დადგენილი მიზნებიდან გადახვევა თითოეულ კატეგორიის საქმეებზე მოცემულ პერიოდში, პროცენტულად ან დღეების მიხედვით. ***მაგალითად:*** თუ პირველი ინსტანციის სასამართლოში განქორწინების დავების განხილვის მიზანი იყო 200 დღე, ხოლო კალენდარული წლის განმავლობაში ასეთ საქმეების საშუალო ხანგრძლივობა იყო 240 დღე, სტანდარტული გადახრის მაჩვენებელი არის 40 დღე ან 20%.

დანართი II

საქმეთა რაოდენობა სასამართლოების მიხედვით – V2.0

სასამართლო ან უფლებამოსილი ორგანო	საქმეები			
	წარმოებაში არსებული საქმეები 1.1.2008-ის მდგომარეობით	ინიცირებული ახალი საქმეები	დასრულებული საქმეები	წარმოებაში არსებული საქმეები 31.12.2008-ის მდგომარეობით
სასამართლო A	362	1027	1089	300
სასამართლო B	397	1131	1210	318
სასამართლო C	279	771	853	197
სასამართლო D	262	1072	1056	278
სასამართლო E	279	1085	1094	270
სასამართლო F	999	1014	1312	701
სასამართლო G	877	1086	1374	589
სასამართლო H	0	7	7	0
სულ	3455	7193	7995	2653

საქმეთა რაოდენობა კატეგორიების მიხედვით – V2.0

საქმეთა კატეგორიები	საქმეები			
	წარმოებაში არსებული საქმეები 1.1.2008-ის მდგომარეობით	ინიცირებული ახალი საქმეები	დასრულებული საქმეები	წარმოებაში არსებული საქმეები 31.12.2008-ის მდგომარეობით
1. სამოქალაქო საქმეები				
განქორწინების დავები	362	1027	1089	300
სამსახურიდან გათავისუფლება	279	771	853	197
....	0	0	0	0
2. ადმინისტრაციული საქმეები				
....	0	0	0	0
3. სისხლის სამართლის საქმეები				
მარცვა	279	1085	1094	270
განზრახ მკვლელობა	877	1086	1374	589
....	0	0	0	0
სულ	1797	3969	4410	1356

სამართალწარმოების ხანგრძლივობა V.2

სასამართლო ან უფლებამოსილი ორგანო	საქმეები										
	განაწილება										
	დასრულებული საქმეები	წარმოებაში არსებული საქმეები	< 1თვე	1-3 თვე	4-6 თვე	7-12 თვე	1-2 წელი	2-3 წელი	3-5 წელი	> 5 წელი	განხილვის დრო დღეების მიხედვით
1. სამოქალაქო საქმეები											
განქორწინების დავები	5456	1915	668	1675	1172	1137	781	23	0	0	128,11
სამსახურიდან გათავისუფლება	1371	428	244	774	231	81	40	1	0	0	113,95
....	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	მცდარი
2. ადმინისტრაციული საქმეები											
....	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	მცდარი
3. სისხლის სამართლის საქმეები											
ძარცვა	1161	314	438	530	147	35	11	0	0	0	98,72
განზრახ მკვლელობა	7	0	2	4	1	0	0	0	0	0	52,14
....	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	მცდარი
სულ	7995	2657	1352	2983	1551	1253	832	24	0	0	121,30

$$\text{განხილვის დრო} = \frac{365}{\text{(დასრულებული საქმეების რაოდენობა / დაუსრულებული საქმეების რაოდენობა)}}$$

სამართალწარმოების საშუალო ხანგრძლივობა

სამართალწარმოების შუალედური ეტაპების საშუალო ხანგრძლივობა						
	სასამართლო განხილვის ეტაპი			სამართლებრივი დაცვის საშუალებები		
საქმეთა კატეგორიები	განხილვისათვის მომზადება (დღეების რაოდენობა)	მოსმენა (დღეების რაოდენობა)	განაჩენი (დღეების რაოდენობა)	გასაჩივრება (კვირების რაოდენობა)	სპეციალური მიმართვა (კვირების რაოდენობა)	სხვა (კვირების რაოდენობა)
1. სამოქალაქო საქმეები						
განქორწინების დავა	80	20	80	18	18	–
სამსახურიდან გათავისუფლება	60	2	20	18	–	–
....						
2. ადმინისტრაციული საქმეები						
....						
3. სისხლის სამართლის საქმეები						
ძარცვა	150	30	70	20	15	–
განზრახ მკვლელობა	120	20	60	20	12	–
....						

დანართი III

ძირითადი მონაცემები მართლმსაჯულების შესახებ ევროპაში

დემოგრაფიული და ეკონომიკური მონაცემები

1. **მოსახლეობა, მშპ და საშუალო წლიური ხელფასი**

მაცხოვრებელთა რაოდენობა	
მშპ (მთლიანი შიდა პროდუქტი) ერთ სულ მოსახლეზე (ევროში)	
საშუალო წლიური ხელფასი (ევროში)	

2. **ყველა სასამართლოსათვის გამოყოფილი მთლიანი წლიური ბიუჯეტი** (ევროში)

3. **სასამართლოების ბიუჯეტი ითვალისწინებს თუ არა შემდეგ პუნქტებს?**
   გთხოვთ, თითოეულ პუნქტთან მიმართებით მიუთითოთ შესაბამისი თანხა (თუ შესაძლებელია)

	დიახ	თანხა (ევრო)
ხელფასებზე გამოყოფილი წლიური სახელმწიფო ბიუჯეტი	☐	
კომპიუტერიზაციაზე გამოყოფილი წლიური სახელმწიფო ბიუჯეტი	☐	
სასამართლო ხარჯებზე გამოყოფილი წლიური სახელმწიფო ბიუჯეტი	☐	
სასამართლო შენობებზე გამოყოფილი წლიური სახელმწიფო ბიუჯეტი	☐	
სწავლებასა და განათლებაზე გამოყოფილი წლიური სახელმწიფო ბიუჯეტი	☐	
იურიდიულ დახმარებაზე გამოყოფილი წლიური სახელმწიფო ბიუჯეტი	☐	
სხვა (გთხოვთ, დააკონკრეტოთ):	☐	

4. **პროკურატურისათვის გამოყოფილი წლიური სახელმწიფო ბიუჯეტი**

5. **პროკურატურაზე გამოყოფილი ბიუჯეტი გათვალისწინებულია თუ არა სასამართლოს ბიუჯეტში?**

   ☐ დიახ
   ☐ არა

იურიდიული დახმარება (მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა)

6. **(საჯარო ხელისუფლების მიერ) იურიდიული დახმარების საქმეთა წლიური რაოდენობა და იურიდიულ დახმარებაზე გამოყოფილი წლიური სახელმწიფო ბიუჯეტი** (შეავსეთ ცხრილი)

	რაოდენობა	თანხა

სისხლის სამართლის საქმეები		
სხვა საქმეები		
იურიდიული დახმარების საქმეთა მთლიანი რაოდენობა		

სასამართლო სისტემისა და პროკურატურის ორგანიზაცია

7. **მოსამართლეები, სხვა პერსონალი და მოსამართლის ფუნქციებით აღჭურვილი თანამდებობის პირები (Rechtspfleger)** (შეავსეთ ცხრილი)

	მთლიანი რაოდენობა
პროფესიონალი მოსამართლეები (სრული განაკვეთის ეკვივალენტური და მუდმივი თანამდებობები)	
პროფესიონალი მოსამართლეები, რომლებიც მუშაობენ სასამართლოებში პერიოდულად და იღებენ შესაბამის ანაზღაურებას	
არაპროფესიონალი მოსამართლეები (მათ შორის, ნაფიცი მსაჯულები), რომლებიც არ იღებენ ანაზღაურებას, მაგრამ შეუძლიათ ხარჯების ანაზღაურება	
არაპროფესიონალი მოსამართლეები, რომლებიც მუშაობენ სასამართლოებში (სრული განაკვეთის ეკვივალენტური და მუდმივი თანამდებობები)	
Rechtspfleger (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	

8. **სახელმწიფო პროკურორები და პროკურატურის სხვა პერსონალი** (შეავსეთ ცხრილი)

	მთლიანი რაოდენობა
პროკურორების მთლიანი რაოდენობა (სრული განაკვეთის ეკვივალენტური და მუდმივი თანამდებობები)	
პროკურატურაში მიმაგრებული პერსონალის (არაპროკურორების) მთლიანი რაოდენობა (სრული განაკვეთის ეკვივალენტური და მუდმივი თანამდებობები)	

9. **კომპიუტერული უზრუნველყოფის დონე სასამართლოებში**

ფუნქციები	**კატეგორიები**	**სასამართლოთა 100%**	**სასამართლოთა +50%**	**სასამართლოთა -50%**	**სასამართლოთა - 10 %**
პირდაპირი დახმარება მოსამართლის / სასამართლოს კლერკისათვის	ოპერატიული დამუშავება	☐	☐	☐	☐
	სასამართლო პრაქტიკის ელექტრონული მონაცემთა ბაზა	☐	☐	☐	☐
	ელექტრონული ფაილები	☐	☐	☐	☐
	ელ-ფოსტა	☐	☐	☐	☐
	ინტერნეტკავშირი	☐	☐	☐	☐
ადმინისტრაცია და მართვა	საქმეების რეგისტრაციის სისტემა	☐	☐	☐	☐

	სასამართლოს საინფორმაციო მართვის სისტემა	☐	☐	☐	☐
	ფინანსური ინფორმაციის სისტემა	☐	☐	☐	☐
ურთიერთობა სასამართლოსა და მხარეებს შორის	ელექტრონული ფორმები	☐	☐	☐	☐
	სპეციალური ვებგვერდი	☐	☐	☐	☐
	ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებები	☐	☐	☐	☐

სასამართლოებისა და პროკურატურის საქმიანობა და დატვირთვა

10. **საქმეთა რაოდენობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად (ხანგრძლივობა და აღუსრულებლობა) წლების მიხედვით**

	სასამართლოს მიერ დაუშვებლად გამოცხადებული საქმეები	მეგობრული მორიგება	გადაწყვეტილებები, რომლებიც ადგენს დარღვევას	გადაწყვეტილებები, რომლებიც არ ადგენს დარღვევას
სამოქალაქო სამართალწარმოება - მუხლი 6§1 (ხანგრძლივობა)				
სამოქალაქო სამართალწარმოება - მუხლი 6§1 (აღუსრულებლობა)				
სისხლის სამართალწარმოება - მუხლი 6§1 (ხანგრძლივობა)				

11. **სასამართლოს წარმოებაში არსებული სამოქალაქო საქმეების მთლიანი რაოდენობა** (დავები და უდავო წარმოების საქმეები):

12. **სამოქალაქო დავები და ადმინისტრაციული სამართლის საქმეები სასამართლოში** (შეავსეთ ცხრილი)

		სადავო სამოქალაქო საქმეები	**სადავო ადმინისტრაციული საქმეები**	**სადავო გაყრის საქმეები**	**სამსახურიდან გათავისუფლებასთან**
მთლიანი რაოდენობა (1-ლი ინსტანცია)	მიმდინარე საქმეები საბაზისო წლის 1 იანვრის მდგომარეობით				
	მიმდინარე საქმეები საბაზისო წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით				
	შემოსული საქმეები				

	სასამართლოს გადაწყვეტილებები				
1-ლ ინსტანციაში სამართალწარმოების საშუალო ხანგრძლივობა (სამართალწარმოების ოფიციალურად დაწყების დღიდან)					

13. **პროკურატურაში მიღებული და განხილული საქმეების რაოდენობა** (შეავსეთ ცხრილი)

		1-ლი ინსტანციის სისხლის სამართლის საერთო რაოდენობა
პროკურატურის მიერ მიღებული		
შეწყდა პროკურატურის მიერ	ზოგადად	
	რადგან არ მოხერხდა დამნაშავის იდენტიფიცირება	
	არ დადგინდა სამართალდარღვევის ან კონკრეტული სამართლებრივი მდგომარეობა	
დასრულდა სასჯელით, პროკურატურის მიერ ან მასთან შეთანხმებით		
პროკურორის მიერ ბრალის წაყენება სასამართლოს წინაშე		

14. **სისხლის სამართლის საქმეები სასამართლოში** (შეავსეთ ცხრილი)

		სისხლის სამართლის საქმეები (სულ)	**ძარცვა**	**განზრახი მკვლელობა**
მთლიანი რაოდენობა (1-ლი ინსტანცია)	მიმდინარე საქმეები საბაზისო წლის 1 იანვრის მდგომარეობით			
	მიმდინარე საქმეები საბაზისო წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით			
	შემოსული საქმეები			
	სასამართლოს გადაწყვეტილებები			
1-ლ ინსტანციაში სამართალწარმოების საშუალო ხანგრძლივობა (ბრალის ოფიციალურად წაყენების დღიდან)				

სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება

15. **რაც შეეხება გადაწყვეტილებას ვალის ამოღებასთან დაკავშირებით, საშუალოდ რა ვადებში ატყობინებენ გადაწყვეტილებას მხარეებს, რომლებიც იმავე ქალაქში ცხოვრობენ, სადაც სასამართლო მდებარეობს:**

- 1-5 დღე
- 6-10 დღე
- 11-30 დღე
- მეტი